



MES 0 20 00343964



21/04/2020

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №03

ქ.თბილისი

16.04.2020

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა -Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

- ნინო ოკრიხელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს **თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე** ;
- თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს **თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს** **მ ო ა დ გ ი ლ ე** ;
- დავით ჭიჭიშვილი** - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის **დ ი რ ე ქ ტ ო რ ი** - **ს ა ბ ჭ ო ს** **მ დ ი ვ ა ნ ი** ;
- მანანა სამხარაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის **შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი** ;
- თამარა თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
- ელგუჯა მელაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
- თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის **დ ო ქ ტ ო რ ი** ;
- ნინო კვეციანი** - შპს "აღმოაჩინე საქართველოს" დირექტორი;
- თეა სიფრაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ანი ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის წარმომადგენლები:

მანანა ცერცვაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ ველიჯანაშვილი - „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;
თეა ჭიშვილი - დაწესებულების იურისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:15 საათზე.
სხდომას ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181-ე დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი, სააპელაციო საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, რომ აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებები განეხილა და გადაწყვეტილებები მიეღო დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ვინაიდან ორივე სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილი იყო ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და ორივე მათგანი ეხებოდა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას, მიზანშეწონილი იყო ორივე საჩივარი განეხილათ ერთიანად, თუმცა გადაწყვეტილებები თითოეულ მათგანზე მიეღოთ ცალ-ცალკე. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებმა.

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა

2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივრებს და საჩივრებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აპელანტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა, თეა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ საუბარი შეეხებოდა 2020 წლის 19 მარტს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ №41 და №42 გადაწყვეტილებებს, რომლის საფუძველზეც შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან სამედიცინო და „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამებს უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 19 მარტს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, მიმდინარეობდა დისტანციური ჩართვის რეჟიმით, მას შემდეგ რაც სხდომა გაიხსნა, არ იქნა გაცხადებული ქვორუმის საკითხი, საბჭოს რამდენი ძირითადი და მოწვეული წევრი ესწრებოდა სხდომას, ვინ იყვნენ ეს წევრები. სხდომა მიმდინარეობდა დარბაზში ტექნიკური ხარვეზებით, ხილვადობა და სმენადობა იყო ძალიან ცუდი, ხშირ შემთხვევაში წყდებოდა ხმა. ამიტომ მათთვის არ იყო სრულად აღქმადი დასმული კითხვები და ასევე გაუგებარი იყო ესმოდათ თუ არა საბჭოს წევრებს მათი განმარტებები.

დაწესებულების წარმომადგენლის, თეა ჭეიშვილის განმარტებით, სხდომის მიმდინარეობის პროცესში ქართველი ექსპერტებისგან განსხვავებით არ მონაწილეობდა საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც თავმჯდომარეობას უწევდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს. დაწესებულების წარმომადგენლებისთვის აღნიშნული გარემოება არ იყო ცნობილი და არც შემდგომ იყო განმარტებული მიზეზი თუ რატომ ვერ მოხდა საერთაშორისო ექსპერტის ჩართვა. მას შემდეგ რაც საბჭომ მოისმინა ახსნა განმარტებები და არგუმენტაცია როგორც ექსპერტების, ასევე დაწესებულების წარმომადგენლების, დაიწყო კითხვა პასუხის ეტაპი. აღნიშნულის შემდგომ ერთ-ერთმა ექსპერტმა მოითხოვა სიტყვა და წარმოადგინა არგუმენტები სადაც გახმოვანდა ახალი გარემოებები და მას შემდეგ რაც დაწესებულების წარმომადგენელმა გახმოვანებულ ახალ გარემოებებთან დაკავშირებით მოითხოვა პასუხის გაცემა, დისპოზიციურობის უხეში დარღვევით მას არ მიეცა განმარტების გაკეთების საშუალება.

აღნიშნულის შემდგომ, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საბჭო გავიდა გადაწყვეტილების მისაღებად, აღნიშნული პროცესი გაგრძელდა ორი საათი და დასრულდა 22:00 საათზე. ცენტრის წარმომადგენელს უნდა უზრუნველყო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა დისტანციურად, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოხერხდა ჩართვის განხორციელება, რის შემდგომ ცენტრის თანამშრომლის ტელეფონის მეშვეობით მამაკაცის ხმამ მათ გამოუცხადა, რომ პროგრამებს არ მიენიჭათ აკრედიტაცია. კერძოდ, მათ განუმარტეს რომ ეყარა კენჭი ვარიანტებს აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, აკრედიტაციის მინიჭებას მონიტორინგის პირობით და აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმას. საბჭოს წევრებმა სამივე ვარიანტზე განაცხადეს უარი რის შემდგომ კენჭი ეყარა პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხს, რაზეც საბჭოს წევრების სრული უმრავლესობა იყო თანახმა, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ პროგრამებს ერთხელ უკვე მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია გამოვიდა უარი. დაწესებულებისათვის არ არის ცნობილი ვინ გამოუცხადა მათ აღნიშნული გადაწყვეტილება, საბჭოს რამდენი წევრი იღებდა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და იყო თუ არა გადაწყვეტილების მიღების დროს ქვორუმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა გადაწყვეტილების 2.5 პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას და რომელშიც აღწერილია, რომ „საბჭომ მიიჩნია, რომ სილაბუსები ნამდვილად საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებას და შედეგების დაზუსტებას“; „სილაბუსების გარკვეულ ნაწილში შინაარსსა და სილაბუსებით გათვალისწინებულ შედეგებს კავშირი არ იკვეთება. მაგალითად, პირველ სემესტრში სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ბლოკში, იმ შინაარსით რაც არის წარმოდგენილი სილაბუსში პაციენტებისათვის კონსულტაციის გაწევის შედეგი ვერ მიიღწევა“. დასაბუთების პირველ ნაწილში საუბარი არის დარგობრივ კომპეტენციებთან დაკავშირებით, როგორც საბჭოს წევრებისთვის არის ცნობილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მედიცინის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2017 წლის 29 ნოემბრის სხდომის №2 ოქმით დამტკიცებულია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები. აღსანიშნავია რომ მახასიათებლები არის 13, შესაბამისად როდესაც აკრედიტაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას და განაცხადებს, რომ სილაბუსები საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებას და შედეგების დაზუსტებას, ასეთ შემთხვევაში დაკონკრეტებული უნდა იყოს თუ რომელ სილაბუსებზეა საუბარი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული კითხვები არის რიტორიკული და აღნიშნულ კითხვებზე სააპელაციო საბჭოს წევრები ვერ გასცემენ პასუხს, ვინაიდან აღნიშნული არ არის მათი კომპეტენცია. ამიტომ უმჯობესია დაწესებულებამ ისაუბროს უფრო მეტად მიზნობრივად და დააკონკრეტოს რას ელის სააპელაციო საბჭოსგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა ჭიშვილმა განაცხადა, რომ მათი კითხვა და მასთან დაკავშირებული მოსაზრებები მიემართება აკრედიტაციის საბჭოს და არა სააპელაციო საბჭოს, აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული. შესაბამისად მისი გამოსვლა ეხებოდა აღნიშნული გარემოების ახსნას. რაც შეეხება გადაწყვეტილების დასაბუთების მეორე ნაწილს, საჩივარში მითითებულია და აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზეც წარდგენილი იყო თითოეული არგუმენტაცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. იმ კითხვებთან დაკავშირებით, რომელიც დაისვა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენლის, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ არგუმენტირებულად იქნა გაცემული პასუხი. აღნიშნულიდან გამომდინარე მათთვის გაუგებარია რატომ არ იქნა გათვალისწინებული აღნიშნული არგუმენტები და დასაბუთება და რატომ იქნა გათვალისწინებული მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა.

ასევე აკრედიტაციის საბჭომ შესაბამისი წესით უნდა დაასაბუთოს თუ რატომ იქნა ან არ იქნა გათვალისწინებული ესა თუ ის არგუმენტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27¹ მუხლის მე-5 პუნქტი პირდაპირ ავალდებულებს აკრედიტაციის საბჭოს დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ასევე საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული მნიშვნელოვანია ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა ამავე კოდექსის თანახმად აღნიშნული დისკრეციული უფლება ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს კანონის შესაბამისი დაცვით.

დაწესებულების წარმომადგენლის, თეა ჭიშვილის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წერილობით დასაბუთებაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემისას. შესაბამისად გადაწყვეტილების შინაარსი, რელევანტური დასაბუთების გარეშე არანაირ პერსპექტივას არ ტოვებს იმისათვის რომ დაწესებულებამ გაიზიაროს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს მიერ დამატებული რეკომენდაციები შესაბამისი დასაბუთების არ არსებობის გამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა ჭიშვილმა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნება ის ნორმატიული აქტები და კანონები, რომლებიც გამოიყენა აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვეტილების მიღების დროს. მისი მოსაზრებით გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილი არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნების დაცვით. მასში აღნიშნულია, რომ აკრედიტაციის საბჭომ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭებას, თუმცე არცერთი საბჭოს წევრი არ იყო მომხრე. შემდგომ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას, რომელზეც არცერთი საბჭოს წევრი არ იყო მომხრე. აღნიშნულიდან გამომდინარე გაუგებარია თუ რის საფუძველზე ეთქვა საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი.

დაწესებულებისათვის უფრო ნათელი იქნებოდა თუ კი კენჭი ეყრებოდა მხოლოდ გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ და აღნიშნული კენჭისყრის საფუძველზე

გადაწყდებოდა მიენიჭებოდა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაცია. არსებული მოცემულობით თუ კი არც აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის გადაწყვეტილებაზე არ იყვნენ მომხრეები საბჭოს წევრები, გაურკვეველია თუ რა გადაწყვეტილება მიიღო აკრედიტაციის საბჭომ საბოლოო ჯამში. შესაბამისად, სამართლებრივი დასაბუთებიდან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, არ არის სათანადო წესით დასაბუთებული და უნდა დაბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოში ხელახლა განსახილველად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ველიჯანაშვილმა განაცხადა, რომ მათ მიერ წარმოდგენილ საჩივარში ასახულია არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც წარადგინეს ცენტრში დასკვნის პროექტებზე უკუკავშირის მიზნით და ასევე აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული არგუმენტები. რაც შეეხება რეკომენდაციას სილაბუსებში დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებასთან და შედეგების დაზუსტებასთან დაკავშირებით, მაგალითისათვის მოყვანილია მხოლოდ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ბლოკი. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის შემსწავლელ ბლოკში გაერთიანებულია ხუთი საგანი, როგორც საბაზისო საგნები პირველი ეტაპისათვის. აღნიშნული საგნებია „უჯრედის ბიოლოგია და გენეტიკა“; „სამედიცინო ფიზიკა“; „სამედიცინო ქიმია“; „ციტოლოგია, ემბრიოლოგია“ და „ზოგადი ბიოქიმია“. თითოეულ საგანში, ვინაიდან გაკეთებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია, ვერტიკალური ინტეგრაცია გულისხმობს კლინიკური კომპონენტების გათვალისწინებას, ყველა საგანში თეორიულ მასალასთან ერთად განხილულია კლინიკური შემთხვევები. შესაბამისად სიცოცხლის შემსწავლელი ბლოკი პაციენტების კონსულტაციის თვალსაზრისით გადის მხოლოდ პირველ დონეზე ანუ გაცნობის დონეზე. შემუშავებულია გრადაცია და ყველა კომპეტენციას აქვს სამი დონე: გაცნობა, განვითარება და განმტკიცება. შესაბამისად ყველა საგანი თუ ინტეგრირებული მოდული თავის სილაბუსებიანათ აწყობილია ისე, რომ თვითონ სილაბუსის აღწერილობით ნაწილში მოცემულია კონკრეტულად თუ რომელ უნარზე გადის საგანი შესაბამისი დონის მითითებით. აღნიშნული ბლოკით სტუდენტი ეცნობა იმ კონპეტენციას, რომელიც არის პაციენტის კონსულტაციის გაცნობა. აღნიშნული დასაბუთება წარმოდგენილი იყო აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, თუმცა თუ რატომ არ მოხდა გათვალისწინება მათ არ განუმარტეს.

საბჭოს წევრი, თამარ ვეფხვაძე დაინტერესდა, იმ შემთხვევაში თუ გამართული იქნებოდა პროცედურული საკითხები და სხდომა ჩატარდებოდა ტექნიკური ხარვეზების გარეშე, რაზეც დაწესებულებამ ისაუბრა, დაწესებულების მოსაზრებით დადგებოდა თუ არა განსხვავებული შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მათ აქვთ განცდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი განმარტებები და არგუმენტები ტექნიკური ხარვეზის გამო არ იყო კარგად მოსმენილი, ვინაიდან მათაც ხარვეზებით ესმოდათ, როგორც საბჭოს წევრების კითხვები ასევე ექსპერტების მოხსენებაც. შესაბამისად მათი მოსაზრებით, სწორედ ტექნიკური ხარვეზის გამო მათი პოზიცია არ იყო კარგად მოსმენილი, გააზრებული და აღქმული შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ველიჯანაშვილმა განაცხადა, რომ ონლაინ რეჟიმში სხდომაზე წარდგენა მათთვის იყო პირველი და თავად პროგრამა “Zoom” მოხმარებაშიც იმ ეტაპისათვის იყვნენ გაუცნობიერებლები არ იყვნენ შესაბამისად მომზადებულები. აკრედიტაციის საბჭოს თარიღის ბოლო დღემდე მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ რომ მოუწევდა მონაწილეობა ელექტრონული რესურსების მეშვეობით. როდესაც დაწესებულება მომზადებული იყო ცენტრში მისასვლელად მათ დილით შეატყობინეს

მონაწილეობის ფორმატის ცვლილების თაობაზე. მათ რომ აღნიშნულის შესახებ სცოდნოდათ უფრო ადრე მოემზადებოდნენ და შეძლებდნენ დოკუმენტაციის გაზიარებასაც იმისათვის რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო მათი არგუმენტაცია. შესაბამისად აღნიშნული ვითარებაც არის გასათვალისწინებელი.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ როგორც ირკვევა სხდომის მიმდინარეობის პროცესში დაწესებულება ვერ აღმოჩნდა იმ სიმაღლეზე რა პოტენციალიც მას აქვს და რისი ჩვენებაც მათ შეეძლოთ.

საბჭოს წევრი, დავით ჭეიშვილი დაინტერესდა ეთანხმება თუ არა დაწესებულება ექსპერტა ჯგუფის დასკვნაში მოყვანილ მოსაზრებებს და მათი აზრით რამდენად ობიექტურად არის შეფასებული მათი მდგომარეობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ველიჯანაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში, როგორც ცნობილია განხილულია აკრედიტაციის ხუთი სტანდარტი, მეორე და მეხუთე სტანდარტი შეფასებულია ნაწილობრივი შესაბამისობა, რასაც განსაკუთრებით არ ეთანხმებიან, მათ დარჩათ შთაბეჭდილება რომ მასალები არ იქნა შესაბამისად შესწავლილი ვინაიდან მეორე და მეხუთე სტანდარტის აღწერილობაში მოყვანილი გარემოებები სრულიად საწინააღმდეგოა იმ მასალებისა და დოკუმენტებისა, რაც ექსპერტებს მიეწოდათ როგორც გადაგაზავნილი მასალების სახით ასევე ვიზიტის დროს მიწოდებული დოკუმენტებისა. ასევე პირველ და მეოთხე სტანდარტებში წარმოდგენილი რჩევების ნაწილი გარკვეულწილად მისაღებია, თუმცა აღსანიშნავია ერთ ერთი რჩევა რომელიც ეხება უცხოელ კოლეგებთან მეტ კოლაბორაციას და მათ მეტ ჩართულობას. დაწესებულებას აღნიშნულ ეტაპზე საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული უცხოელ კოლეგებთან კოლაბორაცია, აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება რამოდენიმე უნივერსიტეტთან. მაგალითად იგეგმებოდა შტაინბაისის უნივერსიტეტში სტუდენტების გაგზავნა და აღნიშნულის თაობაზე მათ გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება. საბოლოო ჯამში ძირითადი პრობლემა გახლავთ ის, რომ მათ ვერ მოახერხეს სრულყოფილად ეჩვენებინათ საბჭოს წევრებისთვის ის თუ როგორ ხორციელდება შეფასებები პროგრამის ნაწილში, რაზეც როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო კოლეგების ჩართულობით შემუშავდა მიდგომები.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების განმარტებით სილაბუსებში გაწერილია თუ რა უნარებზე გადის სტუდენტი პირველი კურსის ძირითად საგნებში. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი გადის გაცნობის დონეზე. მისი მოსაზრებით გაცნობა არ არის უნარებზე გასვლა, ვინაიდან უნარები უნდა გამომუშავდეს სხვადასხვა ხერხით, ხოლო გაცნობა სულ სხვა რამ არის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ველიჯანაშვილმა საბჭოს მიმდინარეობის დროს ეკრანზე გააზიარა დოკუმენტი და ამავე დროს განაცხადა, რომ მედიცინის პროგრამას მოეთხოვება შესაბამისობაში იყოს სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან, რომლის მიხედვით სტუდენტი უნდა გავიდეს 13 კომპეტენციაზე. გარდა ამისა ზოგადი განათლების სტანდარტის მიხედვით თითოეული უნარი ან კომპეტენცია უნდა იყოს დაყოფილი სამ დონედ გაცნობა, განვითარება და განმტკიცება. პროგრამაში სილაბუსები მათი შინაარსის, მიზნების და შედეგების მიხედვით აღწესებულია იმგვარად, რომ პირველ და მეორე სემესტრში წარმოდგენილი საგნები გადის კომპეტენციებზე გაცნობის დონეზე. მეორედან მეოთხე სემესტრის ჩათვლით ისწავლება ინტეგრირებული ნორმის მოდულები რომელიც მიჩნეულ იქნა რომ გადის გაცნობის კომპეტენციაზე რადგან სტუდენტს აღნიშნულ ეტაპზე არ აქვს პაციენტთან აქტიური შეხება, მიუხედავად იმისა, რომ მორიგეობა გათვალისწინებულია თუმცა დამკვირვებლის როლში. პათოლოგიის მოდულები რომელიც ისწავლება მეექვსე

სემესტრში გადის განვითარების დონის კომპეტენციებზე, ხოლო შემდგომ როდესაც ხეება გადასვლა კლინიკურ საგნებზე მეშვიდედან მეთორმეტე სემესტრის ჩათვლით ხდება კომპეტენციების განმტკიცება. დაწესებულების მიერ შემუშავებული რუკა ასევე გამოყენებულია შეფასებაშიც. კერძოდ, თუ როგორ ფასდება სტუდენტის მიერ შედეგის მიღწევა სემესტრების მიხედვით და მათ პროგრესს. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების პორთფოლიო სადაც პროგრამულად ხდება ქულების, აქტივობების დაჯამება და საბოლოო შედეგის დანახვა ცხრილების ან დიაგრამის სახით. ასევე ნათლად ჩანს თუ რაში ჰქონდა სემესტრების მანძილზე სტუდენტს პრობლემა, ხოლო აღნიშნულის ანალიზი შემდგომ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგინდება მიზეზები.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა დაზუსტებით მიზნით ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს ეთანხმებიან თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ველიჯანაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები არ არის შესაბამისი იმ დოკუმენტაციისა და რეალობისა, რაც მათ ვიზიტამდე და ვიზიტის დროს წარადგინეს. განსაკუთრებით არ ეთანხმებიან რეკომენდაციებს მეორე და მეხუთე სტანდარტთან მიმართებით. რაზეც რეალურად მოხდა დავა მათ წარდგენილი ჰქონდათ. საბჭოს მიმდინარეობის დროს ტექნიკური ხარვეზებიდან გამომდინარე შესაძლებელია სრულად ვერ მოხდა მათი პოზიციის აღქმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ განაცხადა, რომ როდესაც წინა წელს საგანმანათლებლო პროგრამებს მიენიჭათ პირობითი აკრედიტაცია ერთი წლით და ექვსი თვით, მათ სრულად გაიზიარეს მიღებული რეკომენდაციები, რომელიც დაინერგა მოდიფიცირებულ პროგრამებში. რეკომენდაციის საფუძველზე გაკეთდა 6 დონიანი ინტეგრაცია, როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი პროფესორების და პარტნიორების ჩართულობით. მას სურს ყურადღება გაამახვილოს რეკომენდაციაზე სადაც აღნიშნულია, რომ მათ პროგრამაში მოცემული 10 კრედიტი კლინიკური უნარ-ჩვევებისა არ პასუხობს მოთხოვნებს. მათ არგუმენტირებული პოზიციის წერილში დაასაბუთეს აღნიშნული გარემოება, თუმცა როგორც ჩანს მათი პოზიცია არ იქნა გაზიარებული.

საბჭოს წევრმა, ნინო კველიძემ განაცხადა, რომ დასკვნაში ერთ ერთი რეკომენდაცია ეხება ინტერნაციონალიზაციას. ამავე დროს დაწესებულებამ, როგორც აღინიშნა წარადგინა მემორანდუმები და დოკუმენტები რაც ადასტურებს მათ ურთიერთობას საერთაშორისო დონეზე. ასევე დასკვნაში ასახულია, რომ არ იკვეთება პროგრამის ხელმძღვანელების და დაინტერესებული პირების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში. მას აინტერესებს დაწესებულების პოზიცია თუ რატომ მიიჩნის ექსპერტებმა რომ პროგრამის განვითარების პროცესში არ იყო დაინტერესებული მხარეების სათანადო ჩართულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ველიჯანაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი და ორი კონსულტანტი. ვინაიდან ისინი არ იმყოფებიან საქართველოში, მათთან ჰქონდათ ელექტრონული კომუნიკაცია სხვადასხვა საშუალებებით პროგრამის სტრუქტურასთან, კომპონენტებთან, საგნების განაწილებასთან, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. მათ მტკიცებულების ინდიკატორად მითითებული ჰქონდათ ელექტრონული მიმოწერები. ასევე აქტიური თანამშრომლობა ჰქონდათ ადგილობრივ პროფესორებთან და სტუდენტებთან, რაც დამოწმებული იყო საფაკულტეტო და აკადემიური საბჭოს ოქმებით. მათ ვიზიტის დროს ექსპერტებს წერილობით წარუდგინეს უცხოელი კოლეგების გამოხმაურება, თუმცა აღნიშნული არ იყო ნახსენები დასკვნაში. ერთ ერთი მათი კოლეგა საერთაშორისო ექსპერტი გეგმავდა საქართველოში ჩამოსვლას და საბჭოზე დასწრებას თუმცა პანდემიასთან დაკავშირებით მისი

ვიზიტი გადაიდო. პერიოდულად ზემოთ აღნიშნული უცხოელი პროფესორები სტუმრობენ საქართველოს და ატარებენ მასტერკლასებს არა მხოლოდ მათ უნივერსიტეტში. მათი ჩართულობა არის უტყუარი და დასაბუთებული, შესაბამისად აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებმა გამოიწვია მათი აღშფოთება და მათთვის გაუგებარი იყო მიღებული შედეგის საფუძველი.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა განაცხადა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით კენჭი ეყარა ორი ტიპის გადაწყვეტილებას, იმიტომ რომ მესამე ტიპის გადაწყვეტილება, კერძოდ პირობითი აკრედიტაციის შესახებ, გამომდინარე იქედან რომ საგანმანათლებლო პროგრამებს ერთხელ უკვე მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია ვერ იქნებოდა მიღებული. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამებს ან უნდა მინიჭებოდა აკრედიტაცია ან არა. იმისათვის რომ მიღებული ყოფილიყო დადებითი გადაწყვეტილება, როგორც ცნობილია დასკვნაში ორი სტანდარტი იყო შეფასებული ნაწილობრივ შესაბამისი და აღნიშნულ შეფასებას დაეთანხმა როგორც აკრედიტაციის საბჭო ასევე მოწვეული საბჭოს წევრები. მას აინტერესებს თუ მოახერხებს დაწესებულება დაარწმუნოს აკრედიტაციის საბჭო შეფასებების არარელევანტურობაში იმ შემთხვევაში თუ პროგრამები ხელახლა განსახილველად დაუბრუნდება აკრედიტაციის საბჭოს, ვინაიდან აკრედიტაციის საბჭოს ოქმიდან ირკვევა, რომ მოსმენილი იყო არა მარტო ექსპერტების არამედ დაწესებულების მოსაზრებებიც, დისკუსია წარიმართა და დაწესებულებას საშუალება ჰქონდა წარედგინა არგუმენტაცია. მას ასევე აინტერესებს ფიქრობს თუ არა დაწესებულება რომ არის განსხვავებული შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ვინაიდან მათ უნდა დაარწმუნონ საბჭოს წევრები რომ მეორე და მეოთხე სტანდარტი არ უნდა იყოს შეფასებული დასკვნებში ნაწილობრივი შესაბამისობით. მას ასევე სურს მოისმინოს დაწესებულების პოზიცია მეხუთე სტანდარტში ასახულ რეკომენდაციებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს და საგანმანათლებლო პროგრამებს აქვს იმის რესურსი რომ გადაწყვეტილებები იყოს შეცვლილი. პროგრამებთან მიმართებით განხორციელდა უზარმაზარი ინვესტიციები სტუდენტებისათვის სწავლების მაღალი ხარისხის შეთავაზების მიზნით. მათ ჰყავთ მაღალი კურსის სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა კლინიკებში არიან დამხმარე პერსონალი და აკეთებენ დიდ საქმეს თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე დღევანდელ დღეს. საბჭოს წევრებს რომ ჰქონდეთ საშუალება მოისმინონ სტუდენტების წარმოდგენა უნივერსიტეტზე, მათ ეჭვი არ შეეპარებოდათ. რაც შეეხება მეხუთე სტანდარტს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სერიოზული დოკუმენტაცია შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს აქვს მეთოდოლოგიები და შეფასების სისტემა, რომელიც იძლევა კონკრეტული შედეგის დანახვის საშუალებას. ასევე შემუშავებულია კომპეტენციების შეფასების მექანიზმი.

სააკლადიო საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით. კერძოდ, რამდენი ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტი ირიცხება ორივე პროგრამაზე და რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პროგრამები, იმ შემთხვევაში თუ ხელახლა დაუბრუნდა აკრედიტაციის საბჭოს განსახილველად ვერ მიიღებს აკრედიტაციას. შემუშავებული არის თუ არა უნივერსიტეტში კრიზისული გეგმა სტუდენტების უფლებების დასაცავად მათ მიერ აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აღნიშნულ პროგრამებზე ჰყავს 637 აქტიური სტუდენტი, 200 ქართველი ხოლო 437 უცხოელი სტუდენტი. როგორც ყველა უნივერსიტეტში, ასევე მათ უნივერსიტეტში დაცულია სტუდენტების უფლებები, იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პროგრამებს არ მიენიჭებათ

აკრედიტაცია, სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას მობილობის პროცესში. პროგრამის შეწყვეტის წესის დოკუმენტაციაში დაწესებულებას გაწერილი აქვს ყველა ის პროცედურა რაც ითვალისწინებს სტუდენტების ინტერესების დაცვას შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

13:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 13:35 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -3

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -3

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

